

შპს „პტლკ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავლები	9
6. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. ძირითადი საშუალებები	10
9. მარაგები	11
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
13. სესხები	12
14. დაკავშირებული მხარეები	12
15. პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12

შპს პტლკ საქართველო**მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	142,718	49,109
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(40,726)	(31,296)
საერთო მოგება		101,993	17,813
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	6	(93,582)	(14,917)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(468)	(399)
საოპერაციო მოგება		7,942	2,497
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(936)	(1,688)
სხვა ხარჯი/შემოსავალი წმინდა ფინანსური ხარჯი		(25) 437	1,500 (9)
მოგება დაბეგვრამდე		7,418	2,302
მოგების გადასახადი		-	(237)
წმინდა მოგება/(ზარალი)		7,418	2,065

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
ვეფხვია ჯაჭვამე

შპს პლკტ საქართველო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	518	257	23
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		518	257	23
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	1,031	543	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		5,443	3,570	-
საგადასახადო აქტივები		49	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	6,700	870	6,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,376	864	691
სულ მიმდინარე აქტივები		16,599	5,426	7,462
სულ აქტივები		17,117	5,683	7,486
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		6,867	2,379	1,655
საწესდებო კაპიტალი		1	1	1
სულ კაპიტალი		6,868	2,380	1,656
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	5,419	507	5,809
საგადასახადო ვალდებულებები		-	68	21
მიღებული ავანსები		4,830	1090	-
სესხები	13	1638	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,249	3,303	5,829
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		17,117	5,683	7,486

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
 ვეფხვია ჯაჭვამე

შპს პტლკ საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1	1,655	1,656
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,065	2,065
გაცემული დივიდენდი	-	(1,342)	(1,342)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1	2,379	2,380
სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,418	7,418
გაცემული დივიდენდი	-	(2,930)	(2,930)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1	6,867	6,868

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

ვეფხვია ჯაჭვამე

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს პტლკ საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2018 წლის 22 ნოემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 402111184.

ძირითადი საქმიანობა. შპს პტლკ საქართველოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სურსათით, კერძოდ კი ფერადი ლითონით ვაჭრობა და გადაზიდვის მომსახურება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი დავით ბაქრაძის ქ. N6 ბ 213

კომპანიას ყავს ერთი დამფუძნებელი: ვეფხია ჯაჭვამე - 100%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „პტლკ საქართველო“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები:

ჯგუფი

ცვეთის კოეფიციენტები

ოფისის აღჭურვილობა

20%

ტრანსპორტი

20%

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

შპს პტკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავლები

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	46,883	33,669
შემოსავალი გადაზიდვიდან	95,835	15,440
ჯამი	142,718	49,109

6. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

	2021	2020
გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯები	-	-
ადგილობრივი	-	-
გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯები	93,582	14,917
საერთაშორისო	-	-
ჯამი	93,582	14,917

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	288	295
ცვეთა და ამორტიზაცია	58	7
მივლინების ხარჯი	5	4
საიჯარო ქირა	48	50
კომუნალური ხარჯები	7	3
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	-	3
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
სხვა საერთო ხარჯები	62	37
ჯამი	468	399

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	33	-	33
დამატება 2020	-	32	209	241
გასვლა 2020	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	65	209	274
დამატება 2021	-	4	314	319
გასვლა 2021	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	69	523	592
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	(9)	-	(9)
წლის დარიცხვა 2020	-	(4)	(3)	(7)
წლის შემცირება 2020	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	-	(13)	(3)	(17)
წლის დარიცხვა 2021	-	(9)	(49)	(58)
წლის შემცირება 2021	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	(22)	(52)	(74)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	-	23	-	23
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	-	51	206	257
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	-	47	471	518

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მარაგები	1,031	122	543
ნედლეული და მასალები	-	-	-
სულ	1,031	122	543

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	6,191	609	6024
გაცემული ავანსები	509	259	-
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	1	204
სულ	6,700	870	6,228

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	-	-	1
ფული ბანკში	864	864	690
სულ	864	864	691

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	5,418	507	5,725
სხვა ვალდებულებები	-	-	84
სულ	5,418	507	5,809

შპს პტლკ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სესხები

მსესხებელი	ხელშეკრულება	ვალუტა	ვადანობა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2018
სს "თიბისი ბანკი"	6684207- 11173177	ლარი	საკრედიტო ხაზი	10.5%	-	1,638	-
					-	1,638	-

14. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მიერ 2021 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ, დირექტორზე გადახდილმა ხელფასმა შეადგინა 69,000 ლარი.

15. პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდის გაცემა - 2021 წლის განაწილებლი დივიდენდის ოდენობამ შეადგინა 2,929,673 ლარი

შპს პტლკ საქართველო

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	142,718	49,109
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(40,726)	(31,296)
საერთო მოგება		101,993	17,813
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	6	(93,582)	(14,917)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(468)	(399)
საოპერაციო მოგება		7,942	2,497
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(936)	(1,688)
სხვა ხარჯი/შემოსავალი წმინდა ფინანსური ხარჯი		(25) 437	1,500 (9)
მოგება დაბეგვრამდე		7,418	2,302
მოგების გადასახადი		-	(237)
წმინდა მოგება/(ზარალი)		7,418	2,065

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

ვეფხვია ჯაჭვიაძე



	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	518	257	23
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		518	257	23
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	1,031	543	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		5,443	3,570	-
საგადასახადო აქტივები		49	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	6,700	870	6,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,376	864	691
სულ მიმდინარე აქტივები		16,599	5,426	7,462
სულ აქტივები		17,117	5,683	7,486
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		6,867	2,379	1,655
საწესდებო კაპიტალი		1	1	1
სულ კაპიტალი		6,868	2,380	1,656
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	5,419	507	5,809
საგადასახადო ვალდებულებები		-	68	21
მიღებული ავანსები		4,830	1090	-
სესხები	13	1638	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,249	3,303	5,829
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		17,117	5,683	7,486

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
 ვეფხვაია ჯაჭვადე



შპს პტლკ საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1	1,655	1,656
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,065	2,065
გაცემული დივიდენდი	-	(1,342)	(1,342)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1	2,379	2,380
სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,418	7,418
გაცემული დივიდენდი	-	(2,930)	(2,930)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1	6,867	6,868

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

ვეფხვია ჯაჭვამიძე

